საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების

არჩევის წესის შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №14 30.05.2016
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №2 26.09.2017
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 13 14.03.2018
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 20 08.09. 2020
ცვლილებები განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:
ოქმი # 1 18.01. 2022

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №6 30.05.2016
ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი №10 07.12.2017
ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 5 14.03.2018
ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 6 15.09.2020
ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:
ოქმი № 1 21.01.2022

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: პროფესორი მ. ღარიბაშვილი

თელავი

2016

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. არჩევნების სამართლებრივი საფუძველი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულება (შემდგომში - დებულება) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში - უნივერსიტეტის წესდება) და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

2. მართვის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. მიღებული გადაწყვეტილებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს უნივერსიტეტის წესდებას და მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 2. დებულების რეგულირების სფერო

დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესს, საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებებს, კომპეტენციას, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, დავის განხილვის წესს და აწესრიგებს მართვის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

თავი II. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და მმართველი სუბიექტები

მუხლი 3. მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 4. აკადემიური საბჭო

უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

მუხლი 5. წარმომადგენლობითი საბჭო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

მუხლი 6. რექტორი

რექტორი არის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი, უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნითა და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. გარიგებებს და შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, რექტორთან ერთად ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღანელი.

მუხლი 7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მუხლი 8. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბანისად უძღვება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობას, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

მუხლი 10. დეკანი

ფაკულტეტს ხელმძღვანელობს დეკანი, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებით და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად უძღვება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას, აგრეთვე მისი აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას და ხარისხის სისტემატურ შეფასებას.

თავი III. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების არჩევის ძირითადი პრინციპები

მუხლი 12. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის ზოგადი პრინციპები

1. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნები ტარდება თავისუფალი და თანასწორი არჩევნების პრინციპების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2.უნივერსიტეტის რექტორის, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები ტარდება უნივერსიტეტის წესდების, აკადემიური საბჭოს დადგენილების და ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. საარჩევნო პროცესი

საარჩევნო პროცესი, საარჩევნო კომისიების საქმიანობა, არჩევნებისთვის გაწეული ხარჯი ღია და საჯაროა.

მუხლი 14. მონაწილე კანდიდატთა და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებაში ჩარევის დაუშვებლობა

დაუშვებელია ისეთი ადმინისტრაციული აქტის მიღება, რომელიც ზღუდავს არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა და ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას ან არღვევს არჩევნების მონაწილეთა თანასწორობას.

მუხლი 15. მართვის ორგანოს არჩევნებზე დასწრება

მართვის ორგანოების არჩევნებზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, დამკვირვებლის სტატუსით, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თანხმობით.

თავი V. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 16. აკადემიური საბჭოს არჩევა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

3. *(ამოღებულია - წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14 მარტს №.5 ოქმი);*

მუხლი 17. აკადემიური საბჭოს არჩევნების ჩატარების პროცესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი ფაკულტეტების მიხედვით.

2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან აირჩევა 5 წევრი. თითოეული ფაკულტეტი ირჩევს ერთ წარმომადგენელს. არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგის მქონე ერთი კანდიდატი. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება 4 წლით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმათა უმრავლესობა, მესამე სამუშაო დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, ინიშნება ახალი არჩევნები.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს არანაკლებ 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზები, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.

4. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 18. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის უფლების ქონა და უფლებამოსილების ცნობა

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

2. აკადემიური საბჭო პირველივე სხდომაზე ცნობს არჩეულ წევრთა უფლებამოსილებას.

მუხლი 19. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;
ბ) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
დ)გარდაცვალება;
ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
ვ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებისშემთხვევა;
ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვაშემთხვევა.

2. *(ამოღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, ოქმი №6, 15.09.2020);*

თავი IV. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევისწესი

მუხლი 20. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებიდან მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა მინიმალური რაოდენობა არ შეიძლება იყოს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე ნაკლები.

2. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი.

5. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლების რაოდენობა პროპორციულია უნივერსიტეტში შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების რაოდენობისა და განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ამავე აქტით განისაზღვრება თითოეული

ფაკულტეტის მიერ წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობა. წარმომადგენლობით საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენელთა მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 3-ზე ნაკლები.

6. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობს ხმის უფლების მქონე პირთა 1/3 მაინც, ცალ-ცალკე, როგორც აკადემიური, ისე სტუდენტებისრაოდენობიდან.

მუხლი 21. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის სტუდენტების ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი.

2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი.

3. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. ხოლო ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების მიერ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის დავალების შესაბამისად.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მიეთითება ის ხარვეზი, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 2 დღის ვადაში.

5. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 22. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა და სპიკერის არჩევა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს ახალადარჩეული წევრების უფლებამოსილებას ცნობს საბჭო პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. წარმომადგენლობითი საბჭო ფარული კენჭისყრით, საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს სპიკერს. კენჭისყრას ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო

კომისია.

5. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტი, სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას წარუდგენს სპიკერის კანდიდატურას. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორი ან ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, დასრულებიდან არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით.

6. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი, რომელსაც ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან არა უმეტეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით 4 წლით.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი სურვილი;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) გარდაცვალება;
დ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;
ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 23. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი სურვილი;
ბ) უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;
გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
დ) გარდაცვალება;
ე) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა,თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ვ) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2. დაუშვებელია უფლებამოსილებაშეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით, მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის დარჩენილი ვადით.

თავი VI. რექტორის არჩევის წესი

მუხლი 24. რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, რეგისტრაცია გრძელდება არანაკლებ 1 კვირისა და არაუმეტეს 2 კვირისა, რექტორის არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 კვირისა და არაუმეტეს 2 კვირისა, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14 მარტის №5 ოქმი)

2. რექტორის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.

3. განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადა და რექტორის არჩევნების ჩატარების თარიღი.

მუხლი 25. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება იწყება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

2. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისთვის სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლის, სამოქმედო გეგმის და დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლის წარდგენა. ამ მუხლით გათვალისწინებული კანდიდატების რეგისტრაციას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც რეგისტრაციაში ატარებს კანდიდატებს.

4. კანდიდატურის რეგისტრაციაზე უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით დასაბუთებული.

5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება ის ხარვეზი, რომელსაც შეიცავს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია 2 დღის ვადაში.

6. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 26. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა

1. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში იმართება უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები.

2. რექტორს 4 წლის ვადით ირჩევს აკადემიური საბჭო ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.

3. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, ამავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რექტორად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

5. კანდიდატი აკადემიურ საბჭოს საჯაროდ წარუდგენს სამოქმედო გეგმას.

6. რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს მიერ ინიშნება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები.

7. რექტორს, ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, უწყდება აკადემიური საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.

მუხლი 27. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა

1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ვერარჩევის შემთხვევაში აკადემიური საბჭო 14 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს არაუმეტეს 6 თვის ვადით. ერთი და იგივე პირი რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №1.21.01.2022წ.)

2. რექტორის მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება არჩეულ იქნეს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

3. რექტორის მოვალეობის შემსრულებელს რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, არაუმეტეს 6 თვის ვადით, ახლადარჩეული რექტორის უფლებამოსილების ცნობამდე, ირჩევს ფაკულტეტების მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩეველი. არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტების საარჩევნო კომისიები ცალ-ცალკე.

მუხლი 28. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის წესი

1. კანდიდატთა რეგისტრაციას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

2. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტ ოდენობას. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, სამი სამუშაო დღის ვადაში გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

4. ხმების თანაბრობის შემთხვევაში ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

5. მეორე ტური გაიმართება იმავე წესით. მასში გამარჯვებულად გამოცხადდება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ხმების უფრო მეტ ოდენობას.

6. არჩევნების მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3 –ისა. თუ მეორე ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მაშინ არჩევნები ცხადდება თავიდან იმავე წესით.

7. არჩევნების შედეგებს აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

8. კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების და დამთავრების თარიღს და სხვა პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

თავი VII. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევის წესი

მუხლი 29. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. აკადემიური საბჭო შეარჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილზე მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

4. აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში.

5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატის შერჩევისა და რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 30. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო კანდიდატურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ფარული კენჭისყრით. ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში აკადემიური საბჭო წარადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას.

მუხლი 31. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარი წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება;
გ) საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი" გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

თავი VIII. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

მუხლი 32. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით.

2. აკადემიური საბჭო წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში.

3. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატის შერჩევისა და რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 33. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატის წარდგენიდან 5 დღის ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.

2. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს ხელახლა წარუდგინოს დასამტკიცებლად იგივე კანდიდატი.

4. კანდიდატის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო

უფლებამოსილია ჩაატაროს ამ თავით გათვალისწინებული შერჩევის პროცედურა და წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგინოს ახალი კანდიდატი ან გამოაცხადოს ახალი არჩევნები.

5. ერთი და იგივე პირი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.
(დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №1.21.01.2022წ.)

თავი IX. ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევის წესი

მუხლი 34. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

მუხლი 35. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავების წესი

1. ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. თუ პირველ ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.
2. დეკანის უფლებამოსილების ვადა 4 წელია.
3. დეკანის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
4. დეკანად შეიძლება არჩეულ იქნეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
5.დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რეგისტრაცია გრძელდება არა ნაკლებ 1 და არაუმეტეს 2 კვირისა.
6. რეგისტრაციის დასრულებიდან არანაკლებ 1 კვირისა და არაუმეტეს 2 კვირის ვადაში ფაკულტეტის საბჭო ფარული კენჭისყრით ირჩევს დეკანს, რომელსაც 2 დღის ვადაში წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად, ხოლო რექტორი წარდგენიდან სამი დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას დამტკიცების თაობაზე.
7. დეკანობის კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია განცხადება, პირადობის

მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია და ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.
7[1]. დეკანის არჩევნებამდე კანდიდატურის შერჩევისას ფაკულტეტის საბჭო ღია სხდომაზე ისმენს თითოეული კანდიდატურის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას.
8. *(ამოღებულია -წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14 მარტის № 5 ოქმი);*

(წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 14 მარტის № 5 ოქმი)

მუხლი 36. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. რეგისტრაცია გრძელდება არა ნაკლებ ერთი და არაუმეტეს ორი კვირისა.
3. რეგისტრაციის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში ფაკულტეტის საბჭო, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. თუ პირველ ტურში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი ვინც მიიღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის 1/3 -ისა.
4. არჩევნების მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორე ტურის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი.
5. კანდიდატად რეგისტრაციისათვის აუცილებელია განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია და ცნობა ფაკულტეტიდან.
(წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №5 14.03. 2018წ.)
5[1]. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ სამჯერ.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10, 07.12.2017წ.)
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №1, 01.21.2022წ.)

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის მოვალეობის შემსრულებელს, კანდიდატურის ხელახალ არჩევამდე, მაგრამ არაუმეტეს 3 თვის ვადით, ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

თავი X. უნივერისტეტის მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების არჩევნების გამოცხადების წესი

მუხლი 37. არჩევნების გამოცხადების წესი

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.
2. უნივერსიტეტის რექტორის, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
3. ფაკულტეტის მართვის ორგანოების - ფაკულტეტის საბჭოს, დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არჩევნების შესახებ უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
5. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადების მიღების ბოლო ვადა, არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების გამოქვეყნების თარიღები. ასევე კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. მართვის ორგანოების არჩევნების შემთხვევაში განცხადებაში უნდა აღინიშნოს აგრეთვე არსებული ვაკანსიების რაოდენობა.

6. დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული.

თავი XI. უნივერსიტეტის და ფაკულტეტების საარჩევნო კომისიები

მუხლი 38. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
(დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი №10, 07.12.2017წ.)

2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 9 წევრისაგან. საარჩევნო კომისიაში შეიყვანება ერთი სტუდენტი. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი, თუ ის ვერ ახდებს ამ უფლების რეალიზებას, კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია:
ა) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების ტექნიკურ-საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხებზე.

გ) შეუწყვიტოს უფლებამოსილება ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრს მასზე დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულებისას.
4. ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელიც უფლებამოსილია ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას დააკისროს რეგისტრაციის ორგანიზაციის უზრუნველყოფა.

5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას ეკისრება ვალდებულება არჩევნების მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.

6.უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან პირველ სხდომაზე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის წევრი პირველივე სხდომაზე, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. კომისიის მდივანი (ხოლო, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის დავალებით, კომისიის სხვა წევრი) ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ, თუ სხვა რამ არ არის

დადგენილი ამ დებულებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს საარჩევნო კომისია.

მუხლი 39. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია

1. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია შედგება 3 ან 5 წევრისგან. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში შეიყვანება ერთი სტუდენტი.

2. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობიდან თავმჯდომარე აირჩევა, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით და ამტკიცებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე.

3. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ამ დებულებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

მუხლი 40. ინტერესთა შეუთავსებლობა

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი ან არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

თავი XII. არჩევნების ორგანიზების და ჩატარების წესი

მუხლი 41. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. მართვის ორგანოებში (მმართველ სუბიექტად) ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატებს, ფაკულტეტის ამომრჩევლებს უფლება აქვთ

გაწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.

3. არჩევნების დღეს იკრძალება საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ:

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.

5. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში ან ზიანს აყენებს უნივერსიტეტის ქონებას. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საარჩევნო კომისია უფლებამოსილია კანდიდატი მოხსნას რეგისტრაციიდან;

6. არავის არ აქვს უფლება დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებითა და დარბაზებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის უნივერსიტეტის ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული უარი არის წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან ორი დღის ვადაში საჩივრდება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 1 დღის ვადაში.

მუხლი 42. საარჩევნო სიები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების ამომრჩეველთა სიები დგება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ და გადაეცემა შესაბამის საარჩევნო კომისიას.

2.ფაკულტეტის ამომრჩეველთა სიებს გადასცემს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, საარჩევნო კომისიას ან ადმინისტრაციას, მოთხოვნის შესაბამისად.
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის დგება ერთიანი საარჩევნო სიები.

4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიყვანება მოცემული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი .

5. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, ხოლო ამომრჩეველთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტების საარჩევნო კომისიების მიერ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის დავალების შესაბამისად.

6. ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეიტანება ამომრჩევლის სახელი და გვარი.

7. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში ან იმავე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეყვანა.

მუხლი 43. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ, რომელზედაც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
ა) უნივერსიტეტისა ან/და შესაბამისი ფაკულტეტის სახელწოდება;
ბ) აღნიშნვა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
4. დაუშვებელია ამომრჩეველზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
5. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 44. საარჩევნო ყუთი

1. უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიების აღჭურვას. თითოეულ საარჩევნო კომისიას გადაეცემა საარჩევნო ყუთი.

2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვისაა განკუთვნილი

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო

ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ- ერთი საშუალებაა.
4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი ფაკულტეტის და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 45. არჩევნების ორგანიზება

1. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ტარდება რექტორის მიერ დანიშნულ დღეს, ხოლო რექტორის/რექტორის მოვალეობის შემსრულებლის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნები აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ დღეს.

2. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს კანდიდატების მიერ გაწეულ ხარჯებს.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფას.

4. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ არჩევნების დღეს დილის 9 საათზე. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნეს:

ა) რეგისტრატორები;
ბ) საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი;
გ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი;
6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ იღებს მონაწილეობას წილისყრაში.

მუხლი 46. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს

შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში და შემოხაზავს მისთვის სასურველ არაუმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი პირის არჩევაც ხდება ასარჩევ ორგანოში. საარჩევნო ბიულეტენი, შევსების შემდეგ, პირის არჩევაც ხდება ასარჩევ ორგანოში. საარჩევნო ბიულეტენი, შევსების შემდეგ, ამომრჩეველმა ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს ვის მისცა ხმა. დაკეცილ საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ათავსებს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.

2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.

მუხლი 47. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა მთავრდება არჩევნების დღეს 14 საათზე, ან უფრო ადრე, თუ ყველა ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 1/3 მაინც, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

5. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:
ა) საარჩევნო ბიულეტენზე არ აღმოჩნდა ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია ასარჩევ პირთა რაოდენობაზე მეტი კანდიდატურა;
დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
ე) მასზე არ არის მითითებული იმ მმართველი ორგანოს სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.

7. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

8. მართვის ორგანოში არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა საჭირო რაოდენობას.

მუხლი 47. დამკვირვებელი

1. უნივერსიტეტში არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 1 დღით ადრე მიმართონ უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოში ასარჩევი კანდიდატი;
ბ) იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი უფლებამოსილია:
ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;
ბ) კომისიის თავმჯდომარის მიერ ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი;
გ) წარადგინოს საჩივარი უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში.
6. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.
7. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

მუხლი 49. დარღვევის ოქმი

1. არჩევნების დღეს ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი.
ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი);
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა, ან აღნიშვნა მის მიერ ხელმოწერაზე უარის შესახებ;
ვ)მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში,თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას) და მათი ხელმოწერები;
ზ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
თ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

თავი XIII. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთა რეგისტრაციის წესი

მუხლი 50. არჩეულ კანდიდატთა რეგისტრაცია

უნივერსიტეტმა, საარჩევნო პროცედურების დასრულების შემდეგ, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, უნდა წარუდგინოს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელთა (რექტორი) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერთა, დაწესებულების ხელმძღვანელთა რეესტრში, რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

თავი XIV. არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 51. მართვის ორგანოების არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრება

თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მართვის ორგანოების ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს მინიმუმ 1 კვირის განმავლობაში. ამომრჩევლის/კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია მიუთითოს, თუ რა ხარვეზს შეიცავს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. კანდიდატი/ამომრჩეველი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატის

მიერ შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში.

მუხლი 52. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამისი ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით განსაზღვრული წესის დარღვევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
ე) საჩივრის შემომტანი პირი მოთხოვნა;
ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

3. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ ბრძანებით დადგენილი წესის ან/და ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.

მუხლი 53. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებით. არჩევნების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკვრება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.

2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

თავი XV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 54. დებულებაში ცვლილებები

1. წინამდებარე დებულებას აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

2. ამ დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ აკადემიური საბჭოს წარდგინებით.

მუხლი 55. დებულების ამოქმედება

დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: **/მანანა ღარინაშვილი/**